(28 ზარისთვის) High კლასის ინდუსტრიულ ჩიპზე მულტიფუნქციური რელეს GLE-THC-15F (Switch/Pulse)-ს პროგრამირება სასწავლო დაწესებულებებისთვის.

დროის გასასწორებლად დააჭირეთ საათის პიქტოგრამიან ღილაკს, გეჭიროთ და წუთების გასასწორებლად პარალელურად დააჭირეთ ღილაკს “M+“, ხოლო საათის გასასწორებლად პარალელურად დააჭირეთ ღილაკს „H+“. კვირის დღის გასასწორებლად პარალელურად დააჭირეთ ღილაკს „D+“.

ზარის დარეკვის ხანგრძლივობის შესაცვლელად/შესატანად (ეს ფუნქცია აგრეთვე გამოიყენება RESET-ზე დაჭერის შემდეგ) ერთდროულად 4 წამის განმავლობაში დააჭირეთ ღილაკებს „MANUAL” და „საათის პიქტოგრამა“-ს. ეკრანზე გაჩნდება „P=00⁰⁰” ან უკვე დაყენებული დრო-წამი. შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „M+“და აიყვანეთ დრო სასურველ წამამდე. დააჭირეთ საათის პიქტოგრამიან ღილაკს მოცემული ოპციიდან გამოსასვლელად.

გაკვეთილების განრიგის დროის გასასწორებლად/შესატანად დააჭირეთ ღილაკს „P“, ეკრანზე გაჩნდება წარწერა მაგალითად „--:--”, ან უკვე შეტანილი პირველი ზარის დარეკვის დრო- საათისა და წუთის გამოსახულება. საათის შესაცვლელად გამოიყენეთ ღილაკი „H+”, ხოლო წუთის გასასწორებლად გამოიყენეთ ღილაკი „M+”. შემდეგ შეარჩიეთ ეს დრო კვირის რომელ დღეებზე უნდა გავრცელდეს, რისთვისაც უნდა გამოიყენოთ ღილაკი “D+” და დააჭირეთ იქამდე (ღილაკზე ყოველი დაჭერის დროს შეიცვლება კვირის დღეების კონფიგურაცია), ვიდრე არ მიიღებთ კვირის სასურველ დღეებს, რომელიც იწერება დროის მაჩვენებლის ზემოთ.

მომდევნო ზარის დარეკვის დროის გასასწორებლად კვლავ დააჭირეთ ღილაკს „P” და შესაბამისად მეორე დროის გასასწორებლად გაიმეორეთ იგივე პროცედურა, როგორც პირველი დროის გასწორების დროს, და მიჰყევით ამგვარად ბოლო დროის ჩაწერამდე, ბოლოს (დასრულებისას) დააჭირეთ ღილაკს „P” და პროგრამირებიდან გამოსასვლელად დააჭირეთ საათის პიქტოგრამიან ღილაკს. თუ გსურთ რომელიმე საგაკვეთილო დროის ამოშლა, დააჭირეთ ღილაკს „P” იმდენჯერ, ვიდრე არ დაიწერება ამოსაშლელი დროის ჩვენება და დააჭირეთ ღილაკს „MANUAL”.

თუ გსურთ ზარის ხელით დარეკვა, დააჭირეთ ღილაკს „MANUAL” იქამდე, ვიდრე ეკრანზე (დროის მაჩვენებლის ქვემოთ) არ დაიწერება “ON”, ხოლო ზარის გამორთვისთვის კვლავ დააჭირეთ ღილაკს “MANUAL”, სანამ ეკრანზე არ დაიწერება „ AUTO OFF ”. იმისათვის რომ, რელემ ავტომატურად (ავტომატურად დარეკოს ზარი) იმუშაოს პროგრამის (შეყვანილი დროების) შესაბამისად, ღილაკს “MAN” დააჭირეთ იქამდე, სანამ დროის ჩვენების ქვემოთ არ დაიწერება სიტყვები „AUTO OFF ”. თუ გააჩენთ წარწერას „OFF”, რელე შეწყვეტს ავტომატურ მუშაობას.

გადატვირთვისთვის დააჭირეთ ღილაკს „RESET”, რის შედეგადაც მოწყობილობაში სრულად განულდება ყველა დაყენებული/შეყვანილი მონაცემი.

მოწყობილობაში ინტეგრირებული ლითიუმის ბატარეის სამუშაო ხანგრძლივობაა 3-4წელი.